

წმინდა გიორგის საერო სკოლის VIII „ა“ და „ბ“ კლასებში ესთეტიკური  
აღზრდის სახელოვნებო საგნებისადმი დამოკიდებულებების ცვლა

სოფიკო კალანდაძე

ნანა კვიციანიძე

ხატია ნადარეიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს – წმინდა გიორგის საერო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. კვლევა ჩატარდა მერვე კლასში, საკვლევ საკითხს წარმოადგენდა ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის საგნების სწავლისადმი ინტერესის ზრდა. ნაშრომის პირველ ნაწილში, დადგენილია ის ძირითადი მიზეზები, რატომ იკლებს მოსწავლეთა მოტივაცია ესთეტიკური აღზრდის სახელოვნებო საგნების მიმართ.

მეორე ნაწილში კი წარმოდგენილია ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზი და ცვლილებების/ინტერვენციის ეტაპები. პრაქტიკული კვლევა ჩატარდა წმ. გიორგის სახელობის არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში.

პრაქტიკული კვლევის ფარგლებში, მის სხვადასხვა ეტაპზე, გამოვიყენეთ კვლევის შემდეგი მეთოდები: თვისებრივი კვლევა – ჩაღრმავებული ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფები, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ, დაკვირვება. რაოდენობრივი კვლევა – ანკეტირება, გამოკითხვა.

კითხვარებით, ინტერვიუებით და დაკვირვებით მიღებული შედეგებით, გამოჩნდა რომ მოსწავლეების უმეტესობას, განსაკუთრებით მაღალ კლასებში, არ აქვს მოტივაცია და ინტერესი ესთეტიკური აღზრდის სახელოვნებო საგნების მიმართ. სახელოვნებო საგნები ცხრილში ძირითადად ბოლო გაკვეთილებზეა, რის გამოც ხშირია მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილის გაცდენაც. პრაქტიკული კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დამუშავებულ იქნა კვლევითი კომისიის მიერ, გაკეთდა ანალიზი და შემუშავდა შესაბამისად გადაჭრის გზებიც – ინტერვენციები. მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად ინტერვენციების განსახორციელებლად შერჩეულ იქნა სახელოვნებო მიმართულების სამი საგანი: მუსიკა, ხატვა, კერამიკა. დაიგეგმა და განხორციელდა ინტერვენციები: მუსიკისა და ხატვის ინტეგრირებული გაკვეთილი, ხატვის არაფორმალური გაკვეთილი ბუნებაში, კერამიკის ნამუშევრების გამოფენა. სასწავლო პროცესში ჩარევითა და განსხვავებული გაკვეთილების ჩატარებით მივიღეთ მოსწავლეთა მეტი ჩართულობა და დაინტერესება სახელოვნებო საგნების მიმართ, რაც ჩვენი აზრით სასიკეთო შედეგია.

მიღებული შედეგის შენარჩუნებისა და კიდევ უფრო დახვეწვისათვის, მიგვაჩნია რომ პრაქტიკული კვლევა უნდა გაგრძელდეს, შემუშავდეს სხვა მიდგომები და რეკომენდაციები.

ძირითადი თემატური სამიზნო სიტყვები: კვლევა, სკოლა, კლასი, ესთეტიკური აღზრდა.